



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №46

2017 წელი 31 ივლისი

ქ.ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების სარგებლობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და მათზე საიჯარო ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე.გ” ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას ელექტრონული აუქციონის გზით მოახდინოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ობიექტების სარგებლობის უფლებით გაცემა:

ა) სოფელ სარფის ცენტრში, კერძოდ სასაზღვრო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მაღაზიების წინ მდებარე ფართის ნაწილიდან 10 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 22.30.02.199.01.517) მასზე კომერციული დანიშნულებისათვის განკუთვნილი მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობის განთავსების მიზნით ;

ბ) ქ. ბათუმში, დასახლება მახინჯაურში მდებარე 200 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 05.34.22.230) სეზონური ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით;

2. დადგინდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების წლიური საწყისი საიჯარო ღირებულება შემდგენიარად:

ა) სოფელ სარფის ცენტრში, კერძოდ სასაზღვრო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მაღაზიების წინ მდებარე ფართის ნაწილიდან 10 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 22.30.02.199.01.517) წლიური საწყისი საიჯარო თანხა განისაზღვროს 600 ლარის ოდენობით ;

ბ) ქ. ბათუმში, დასახლება მახინჯაურში მდებარე 200 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.34.22.230) თვიური საწყისი საიჯარო თანხა განისაზღვროს 600 ლარის ოდენობით ;

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ქონების სარგებლობის ფორმით გადაცემის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) კანონმდებლობით დადგენილი წესის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ბერიძე